# InterPressNews 18.09.2020

## Rehabilitation works are ongoing on the water supply network on King Archil Street in Samgori district, Tbilisi

Water distribution company “Georgian Water and Power" continues to work on important projects for the stable water supply of the capital, following all the recommendations.

The project will completely upgrade up to a kilometer-long water supply network. The new network will be equipped with European standard locking hoses and key wells. As a result of the mentioned works, the water supply will be improved for the residents of Archil Mepe and Erekle II streets. GWP is investing 140 thousand GELs in the rehabilitation project.

**Source:**
https://www.interpressnews.ge/ka/article/618941-samgoris-raionshi-archil-mepis-kuchaze-cqalmomaragebis-kselze-sareabilitacio-samushaoebi-tardeba

### სამგორის რაიონში, არჩილ მეფის ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება




„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, დედაქალაქის სტაბილური წყალმომარაგებისთვის, მნიშვნელოვან პროექტებზე მუშაობას ყველა რეკომენდაციის დაცვითა და გათვალისწინებით აგრძელებს,- ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან“ აცნობეს.

მათი ინფორმაციით, კომპანია სამგორის რაიონში, არჩილ მეფის ქუჩაზე, წყალმომარაგების სისტემაზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.

„პროექტის ფარგლებში სრულად განახლდება ერთ კილომეტრამდე სიგრძის წყალმომარაგების ქსელი. ახალ ქსელზე ევროსტანდარტის ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდულები და საკვანძო ჭები მოეწყობა. აღნიშნული სამუშაოების შედეგად არჩილ მეფისა და ერეკლე მეორეს ქუჩის მოსახლეობას წყალმომარაგება გაუუმჯობესდება. ჯივიპი სარეაბილიტაციო პროექტში 140 ათასი ლარის ინვესტიციას ახორციელებს",- აღნიშნულია ინფორმაციაში.

# InterPressNews 22.09.2020

## Ministry of Regional Development and Infrastructure – Chiatura residents will get 24-hour water supply

The Ministry of Regional Development and Infrastructure declared that it has finished working on the project which will provide a 24-hour water supply for Chiatura residents. According to the ministry, few new infrastructure buildings were put in place, including a new head collector, a water collecting reservoir, a water distribution network and several wells. Chlorination facility was also added to the system. Existing pump stations were also rehabilitated and a new reservoir was also built. “Nowadays Chiatura gets water with limited times, and as a result of these works, existing problems will totally be eliminated and about 20 000 local residents will get water for 24 hours. The project was financed by the Asian Development Bank with more than 43 million GELs,” – stated the press announcement on this issue.

**Source:**
https://www.interpressnews.ge/ka/article/619495-regionuli-ganvitarebisa-da-inprastrukturis-saministro-chiaturis-mosaxleoba-24-saatiani-cqalmomaragebit-sargeblobs



IPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - ჭიათურის მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ჭიათურის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის სამუშაოები დაასრულა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ჭიათურაში მოეწყო წყლის სრულად ახალი სათავე ნაგებობა, წყლის შემკრები რეზერვუარი, წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი და ჭაბურღილები. აგრეთვე, აშენდა საქლორატორო სადგური. რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ სატუმბ სადგურებსა და რეზერვუარებს, ასევე აშენდა ახალი რეზერვუარი.

„ჭიათურას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდებოდა, განხორციელებული სამუშაოების შედეგად კი, ქალაქში არსებული პრობლემა საბოლოოდ გამოსწორდა და 20 000-მდე ადგილობრივი 24-საათიანი წყალმომარაგებით სარგებლობს.

პროექტი აზიის განვითარების ბანკმა 43 მილიონ ლარზე მეტით დააფინანსა“,-აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# InterPressNews 23.09.2020

## Mayor's Office of Gori – new water infrastructure system is being put in place in Gori

Infrastructure work has begun in one location of the village of Zerti to renew water infrastructure. As InterPressNews was told by Gori municipality, works were inspected by Konstantine Tavazarashvili, Gori's mayor.

"120 families in this village still carry water from the neighboring villages. According to the contracts, the works will be finished in 4 months. The project entails building of the wells, a clorination facility, a pumping station, a sanitation zone and a distribution network. The local works were supported by a local budget equal to 347 600 GEL," – states a press release issued by Gori municipality on this issue.

### გორის მერია - სოფელ ზერტში წყლის სისტემის მოწყობა მიმდინარეობს



სოფელ ზერტის ერთ-ერთ უბანში წყლის სისტემის მოწყობის მიზნით, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან აცნობეს, სამუშაოები გორის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა დაათვალიერა.

„აღნიშნულ უბანში მცხოვრები 120-მდე ოჯახი სასმელ წყალს დღემდე მეზობელი უბნებიდან ეზიდება. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები 4 თვეში უნდა დასრულდეს. პროექტი ითვალისწინებს ჭაბურღილის, საქლორატოროს, წყალსადაწნეო კოშკის, სანიტარული ზონისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობას. სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 347 600 ლარი გამოიყო", - აღნიშნულია გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**Source:**
https://www.interpressnews.ge/ka/article/619768-goris-meria-sopel-zertshi-cqlis-sistemis-mocqoba-mimdinareobs

# InterPressNews 25.09.2020

## NEW river bank protection infrastructure will be built in Zugdidi to replace the old one previously destroyed by a natural disaster

River bank construction process will start in Zugdidi municipality, on Saint George Street and in Statkhvi, on the river of Sintsa. As InterPressNews was told by the Ministry of Regional Development and Infrastructure, after the completion of those works, there will not be a danger of flooding during natural disasters in the future.

“These works will be financed from the local budget, with the allocation equal to 82 thousand GELs.  According to the press release on this issue, 560 similar works were done recently in Samegrelo-Zemo Svaneti municipality, from which 27 projects were completed in Zugdidi.

**Source:**
https://www.interpressnews.ge/ka/article/620038-zugdidis-municipalitetshi-stikiis-shedegad-dazianebuli-napirsamagri-nagebobebi-moecqoba

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობები მოეწყობა




ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულსა და ქალაქ ზუგდიდში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე (მდ. სინწა) ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყება.

როგორც„ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის დასრულების შემდეგ, 2020 წლის ბოლოდან ამ ტერიტორიას დატბორვის საშიშროება აღარ დაემუქრება.

„აღნიშნული სამუშაოები, 82 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამებიდან ეკონომიების სახით დარჩენილი თანხით დაფინანსდება.

აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ბოლო წლების განმავლობაში ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა 560, მათ შორის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში - 27 ობიექტზე",-ნათქვამია ინფორმაციაში.

# InterPressNews 26.09.2020

## Weather forecasters expect rain, hail and wind in Kakheti and in some mountainous parts of Georgia today

In Kakheti region and in some other parts of Georgia rain, hail and strong wind is expected. Agency of Natural Resources informes about it.

According to the agency, expected natural processes may cause small water floods across river banks, and a slight activation of landslide processes in landslide-prone territories of mountainous Georgia.

**Source:**
https://www.interpressnews.ge/ka/article/620209-dges-sinoptikosebi-kaxetshi-aseve-mtian-regionebshi-zlier-cvimas-elcheks-setqvas-da-karis-gazlierebas-prognozireben



IPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამ

რეგიონი 26.09.2020 / 08:38

დღეს სინოპტიკოსები კახეთში, ასევე მთიან რეგიონებში ძლიერ წვიმას, ელჭექს, სეტყვას და ქარის გაძლიერებას პროგნოზირებენ

დღეს კახეთის ტერიტორიაზე და საქართველოს მთიან რეგიონებში ზოგან შესაძლებელია აღინიშნოს ძლიერი წვიმა, ელჭექი, სეტყვა და ქარის გაძლიერება. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია საქართველოს პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.